

ტესტის სახელწოდება:

GGT (გამა-გლუტამილ ტრანსფერაზა) ტესტი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

გამა-გლუტამილ ტრანსპეპტიდაზას ტესტი

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

ეს ანალიზი სისხლში GGT-ის დონეს ადგენს. GGT ენზიმია, რომლის კონცენტრაციაც იზრდება ღვიძლისა და ნაღვლის სადინრის დაავადებების დროს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

GGT ტესტი ინიშნება, როდესაც პაციენტს ღვიძლის ან ნაღვლის სადინრის დაავადების ნიშნები აღენიშნება. იგი ხშირად ტარდება ისეთ ლაბორატორიულ ანალიზებთან ერთად, როგორებიცაა: AST, ALP, ALT.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ჩვეულებრივ, პაციენტს სთხოვენ ანალიზის გაკეთებამდე რამდენიმე საათით ადრე საკვები ან ალკოჰოლი არ მიიღოს. ტესტის შედეგებზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ზოგიერთმა მედიკამენტმაც, ამიტომ აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

შედეგების ინტერპრეტაცია:

GGT-ის მაღალი დონე ღვიძლის დაზიანებაზე მიუთითებს. ეს კი, თავის მხრივ, გამოწვეული შეიძლება იყოს სხვადასხვა დაავადებით, მათ შორის, ღვიძლის ციროზითა და ჰეპატიტით.